




# რა არის მდინარის აუზი?

III-V კლასები





“წყლის რაციონალური მოხმარება ქ.გორის საყოფაცხოვრებო სექტორში”,  
“Rational Water Use in the Municipal Sector in Gori City”

# რა არის მდინარის აუზი?

აღბათ, გაგივიათ ტარმინი „მდინარის აუზი“. შვიქლაბა ვიზიეროთ, როე ას იგივბა, რაც მდინარე, გაგრამ აუცილაბელია ვიტოდეთ, როე მათ შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა.

მდინარე არის წყლის ნაკადი, რომელიც მაღალი მთებიდან დაბლობისკენ ეშვება და სხვა მდინარეში, ზღვაში ან ოკეანეში ჩაედინება. მდინარეების „საკვებს“ წვიმა და დამდნარი თოვლი წარმოადგენს.



მდინარის აუზი კი დედამიწის ის ნაწილია, სადაც მოსული  
თოვლი და წვიმა გროვდება და ამ მდინარეში ჩაედინება.

დიდი მდინარის აუზი შეიქმნება რამდენიმე ქვეაუზს მოიცავდეს, მაგა-  
ლითად, მდინარე მტკვარს რამდენიმე ქვეაუზი აქვს, როგორებიცაა  
ალაზანი, იორი და ა.შ.



თუ კარგად დავფიქრდებით, მივხვდებით, რომ მდინარის აუზში მდინარის დინების ქვემოთ მდებარე წყალმომხმარებლები - ქალაქები და სოფლები, სხვადასხვა სანაგრო - დამოკიდებულნი არიან დინების ზემოთ არსებულ წყალმომხმარებლებზე. თუ დინების ზემოთ წყალი დაზიანდება, აირველ რიგში, ეს მდინარის დინების ქვემოთ მდებარე წყალმომხმარებლებზე მოახდენს უარყოფით გავლენას.

რუკას თუ დავაკვირდებით, შევნიშნავთ, რომ ზომიერად დიდი მდინარე ერთზე მეტ სახელმწიფოში გაედინება. ასეთ მდინარეებს ტრანსსასაზღვრო მდინარეებს უწოდებენ. სწორედ ასეთი მდინარეა მტკვარი, რომელიც სათავეს თურქეთში იღებს, გაივლის საქართველოს და საბოლოოდ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ჩაედინება კასპიის ზღვაში.

**◌ ეს საინტერესოა ◌**  
 ტრანსსასაზღვრო მდინარეების აუზებში ამჟამად დაახლოებით 2.8 მილიარდი ადამიანი სახლობს, რაც მთელი დედამიწის მოსახლეობის თითქმის მესამედია. მდინარე დუნაის ტრანსსასაზღვრო აუზი 19 ქვეყანას მოიცავს და ქვეყნების რაოდენობით ყველაზე მრავალრიცხოვანი აუზია.

ბოლო საუკუნის განვითარებაში, მოსახლეობის ზრდის, ასევე სოფლის მეურნეობისა და ნარეკობის განვითარების შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა ადამიანის მიერ წყლის მოხმარების მაჩვენებელი. ამასთან, კლიმატის ცვლილების შედეგად, წყლის რაოდენობა მცირდება მდინარის აუზებში. დატბორვის გამო უფრო და უფრო მეტი წყალია საჭირო სარწყავად. შესაბამისად, სულ უფრო მეტ რეგიონში შეინიშნება წყლის ნაკლებობა, რაც უარყოფითად აისახება მოსახლეობაზე და უფრო და უფრო მეტ პრობლემას უქმნის მას.



ასეთ სიტუაციაში მდგომარეობის კიდევ უფრო გართულების თავიდან აცილება შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მდინარეთა აუზებში წყლის მოხმარების თვალსაზრისით ვითარება გაუმჯობესდება და დანაპარგი შემცირდება.

წყლის მოხმარების მხრივ ვითარება გაუმჯობესდება, თუ მდინარის აუზში წყლის ყველა მოხმარებელი შეთანხმდება წყლის გამოყენებაზე, ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებით, და ყველა მოხმარებელი დაგეგმულდება წყლით, მათ შორის, ცხოველები და მცენარეებიც, მათაც ხომ სჭირდებათ წყალი!

## გააკეთე თავად

- ღ დაბაჭდილ ან ელექტრონულ რუკაზე მოკახე დედამიწის დიდი მდინარეების აუზები, ამოიწერე მათი სახელები. აღნიშნე, სად მდებარეობს ისინი.
- ღ მოკახე მდინარე მცკერის აუზი და შეადარე შენ მიერ მოძიებულ დიდ აუზებს.
- ღ მოიფიქრე და ჩამოთვალე წყლის ის მომხმარებლები, რომლებიც, შენი აზრით, მდინარე მცკერის აუზში არიან წარმოდგენილნი.
- ღ შენი აზრით, პირველ რიგში, რომელი მომხმარებელი უნდა დაკმაყოფილდეს, თუ წყალი ყველასთვის არ იქნება საკმარისი? რატომ? იმსჯელე ამის შესახებ თანაკლასელებთან ერთად მასწავლებლის დახმარებით.





გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) "მთკვეპარი II" პროექტის ფარგლებში, არასამთავრობო ორგანიზაცია „გარემო და განვითარება“ ახორციელებს სადემონსტრაციო კამპანიას „წყლის რაციონალური მოხმარება ქ. გორის საყოფაცხოვრებო სექტორში“.

## გარემო და განვითარება

📍 რაჭაძის ქუჩა N29 0179, თბილისი, საქართველო

✉ [info@envdevelopment.org](mailto:info@envdevelopment.org)

🌐 [www.envdevelopment.org](http://www.envdevelopment.org)

შპს გარემოსდაცვითი ფონდები და ინსტაგრამ გვერდები:

📷 „Water for all - Gori“

📱 „Water for all - Gori“